შაბათი 29 აგვისტო 1915 წ. წ. I.

საქართველო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 ან. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 164 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 164

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

მეუღლე ელისაბედ (ბზეხა), შვილები: ბეჟანი, ლეო და თამარი; ძმა მღვდ. ლუკა; დები: ჟოფო და ბაბილინა; რძლები: ნატაშა, ანტონინა და სალომე; შვილიშვილები: ჭუშანიკა, დარეჯანი და არჩილი; სიძეები: ნესტორ ელიავა, ვარლამ იმნაძე და მასიკო არბელაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ კვირას, 30 აგვისტოს, ოზურგეთში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ვასილ სოფრომის ძის ხუნდაძის

სულის მოსახსენებლათ, 2—2

15 ენკენისთვეს ქუთაისის ქართულ თეატრში ახალგაზდა ცნობილი მომღერალი ვარდენ ლოართქიფანიძე გამართავს ფრიად საყურადღებო

კონცერტს ლიტერატურული განყოფილებით,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ თბილისიდა მოწვეულნი: 1) პროფესორი თბ. საიმპერატორო მუსიკალური სასწავლებლისა ბროჯი-მუტტინი, 2) თბ. ქართულ ფილარმონიული სასწავლებლის გალობის მასწავლებელი ქალი, ცნობილი მომღერალი ქ-ნი პოლიტოვისა და იმავე სასწავლებლის მუსიკ-ს მასწავლებელი ქ-ნი ციციშვილისა და სხვ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელეგისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დიდის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ეოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტროლისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.

ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

დოქტორი მედიცინისა, ბრივატ-დოცენტი

ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი

8 მაისიდან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი და ნაშუადღევის 5 საათიდან საღამოს 8 საათამდი.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის სახლი. თ.

კერძო ექიმი მიხეილ კაფია

კურნავს ოფველგვართვალის ტკივილის ავათმყოფობას დებულობს დიდის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

ბეგია მ. მ. კოხრეიძე

უც რის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

კვირიდან, 30 აგვისტოდან დიდი ფართო პროგრამა.

სახელმწიფო სათათბიროს დეკუტატებისა და მინისტრების ძრება.

სამამულიშვილო ომის ისტორიული წლის თავი 19 აგვისტო 1915 წ.

II.

ნაჩვენები იქნება ამერიკული კოლოსალური სურათი:

მილიონების გიჟნოზის გავლენის ქვეშ.

15 ათას მეტრის ზომის ლენტი.

დ. ყვირილაში სამოსწავლო მთავრობის ნებართვით, ყუბარაძის სახლში

გაიხსნა მოსამზადებელი სასწავლებელი,

სადაც მოამზადებიან ბავშვები ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლისათვის: გიმნაზიის, რეალურის, კომერციულისთვისა და სხ.

ფასი ოცი მანეთიდან წელიწადში. სტუდენტი ვარლამ ფერაძე.

14—5—963

ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია უფლებებ მოკოლებული

მ. ბ. კვინიხიძის

(თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა).

აცხადებს, რომ მისადები ბამოცდები ყველა კლასში დაიწყება 18 აგვისტოდან, სწავლა კი 1 სექტ. პროგიმნაზიას აქვს აგრეთვე საანგანო განყოფილება, სადაც მიიღებიან სრულიად მოუმზადებელი ბავშვები.

ანნა ლუარსაბის ასული ქავთარაძისა და

მომავალი ენკენისთვიდან, გენერლის ქუჩაზე, ნიკოლოზ ზაალის ძის ბადრიძის სახლში ხსნის

ქალ-ვაჟთა მოსამზადებელ სკოლას საბავშო ბაღით.

სწავლის ფასი თვეში 10 მ.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტოდან.

სკოლის კურთხევა მოხდება სამშაბათს, 1 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 5 საათზე. 6—3

დღეს, 29 მარიამობისთვეს, ქალ. თეატრში გაიმართება ლექცია:

„ვაჟა-ფშაველა“.

წაიკითხავს მ. წულუკიძე.

ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობენ:

ბ. ჯორჯიკია, ვ. რუხაძე, გ. ტაბიძე და ნ. ჩხიკვაძე.

ადგილების ფასი: 150-25-კ-მდე. დასაწყისი 8 საათზე.

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში

მისაღები გამოცდები

დაიწყება 10 ენკენისთვიდან. 3—2

ქ. ქუთაისი.

ექიმი ქალი უენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა

ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით

სნეულებს დილის 9—12 საათ. ბ საღ. 5—6 ს.

ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები.

თვ. 975

ახლათ ჩამოსული რუსი ქალი მასწავლებელი, ამზადებს ფრანგულ და ნემეცურ ენებზე მოწაფეებს; სურს იმასწავლებლოს ოჯახში.

მისამართი: თბილ. ქუჩა. ს. ოგანეზ. ბინაბოხონელიძისა.

აფთიაქი კორბოულის საჩქაროთ იცემა იჯარით.

პასუხისათვის მარკა.

ხობში, ოგანეზოვს. 3—3—967

ბეტროგრადი., 26 აგვისტო. ოფიციალი. უმაღლესი რესკრიპტი გენერალ ადიუტანტ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის სახელზე.

გრაფ ილარიონ ივანეს ძე!

1905 წელს, როდესაც ვსცან საჭიროდ კავკასიის სანამესტნიკოს ადგენა — კეთილად მივიჩნიე თქვენი დანიშვნა ჩემს მოადგილედ. თქვენი ამ კუთხის ცოდნა და მრავალწლოვანი თქვენი სხვა და სხვა სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, მგვრიდდენ მტკიცე რწმენას, რომ თქვენი დანიშნულების საკანს ქვეყნის დამშვიდებას, მშვიდობიანობის დამყარებახ და განმტკიცებას კეთილდღეობისას და წესრიგისას—შესრულებდით უნაკლოდ. თქვენი დანიშვნის პირველმა წლებმავე გაამართლეს თქვენზე დაკისრებული იმედები, რასაც სრულიად ვაწერ თქვენს შეუსუსტებელ სურვილებს, რისთვისაც თქვენ არ დაგიზოგავთ თქვენი ნიჭი და ძალა ამ მჭიდრო ერთიანობის განმტკიცებლად, რომელიც საჭირო იყო მრავალ-ფეროვან კუთხისა დანარჩენ ჩვენ სამშობლოსთან. თქვენი სამხედრო ცოდნა სრულ საშუალებას გაძლევდათ კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის სარდლობის დროს განგემტკიცებინათ სახელოვანი კავკასიის ჯარი, იმ უძველეს დროიდან თანდაყოლილ ტრადიციებში, რომლითაც ისინი ძლიერის სულით ეხლაც ურეკვლად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მძიმე მოვალეობას. შარშან, ჩემი კავკასიაში ყოფნის დროს, მე გამოვიტანე საუკეთესო აზრი კავკასიის ჯარის სულიერ სიმხნეზე. მისი გმირული თავდადება, რომელიც მან გამოიჩინა წარსული წლის დეკემბერში და ამა წლის იანვარს—მე ეოველივე ეს ადგენიშნე თქვენი დაჯილდოებით წმინდა ეოვლად წამებულის და ძლევამოსილის გიორგის 3 ხარისხის ორდენით. მრწამს, რომ გამოცდილი სახელოვანი ჯარი მომავალშიც თავისი გამარჯვებით დაიწერს ბრწყინვალე გვერდს თავის ბრძოლის დღიურში. უთმობ რა თქვენს

გადაწყვიტ სურვილს, რათა თქვენი სასარგებლო შრომა და მოდვაწეობა გამოეენებულ იქნას თქვენი ჯანმრთელობის შესაფერისად, იმ ჯამთელობის, რომელიც შეალიეთ დაუღალავი შრომათ, მეგულის ტკივილით განთავისუფლებთ ჩემს კავკასიაში შოადგილეობიდან, კავკასიის ჯარის მთავარი სარდლობიდან, ჯარის ატომანობიდან, და გულწრფელად ვაფასებ რა თქვენს მოდვაწეობას ტახტისა და სამშობლოს წინაშე—გნიშნავთ თქვენ ჩემთან. მე ღრმად მწამს, რომ თქვენი დასვენება მრავალრთულოვან მოვალეობიდან აღადგენს თქვენს ჯანმთელობას და ჯერ კიდევ დიდხანს იქნებით სასარგებლო ჩემთვის და სახელმწიფოსთვის თქვენის გამოცდილ და მიუდგომელ რჩევით.

საკუთარის ხელით მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა აწერს.

თქვენი ღრმად პატივის მცემელი და გულწრფელად კეთილის მოსურნე.

ნიკოლოზი.

სტავკა, 23 აგვისტო, 1915 წ.

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

კავკასიის ჯარების შტაბისაგან.

ოფალისი. ზღვის ნაპირა რაიონში ოსმალთა მზვერავი რაზმი, რომელიც ცდილობდა მდ. არხავეზე გადმოვლას, ჩვენმა საყარაულო რაზმმა თოფის სროლით უკუაგდო.

ოლთისის გეზით, სოფელ ხარტასთან ჩვენმა რაზმმა ოსმალთა საყარაულო რაზმი გაანადგურა. მელაზგერტისა და ვანის რაიონში ჩვენს მზვერავ რაზმებს ბრძოლა მოუხდათ ქურთებთან. ვანის ტბის მარჯვენა ნაპირზე ჩვენს ცხენოსან რაზმს შეტაკება ქონდა ოსმალთა ცხენოსან

გ-ნ სიმონ ოცხელის წიგნი.

(დასას. იხ. „სამშობლო“ № 163).

ვაცალოთ ბ. ოცხელს მსოფლიოსთან ომი და განვიხილოთ მისი სახელმძღვანელო წიგნი, როგორც გოგებაშვილის მოწაფის შედგენილი, რადგანაც საერთო პედაგოგიური დებულებები მას „Русское слово“-ს ავტორისაგან აქვს ნასესხები.

თუ ბ. ოცხელი ხედავს, რომ ქართული ენა ამზადებს რუსულისათვისაც ბავშვებს, რად უნდოდა—წიგნში რომ მოუთავსებია ქართული მოთხრობები? თუ ბ. ოცხელი გრძნობს, რომ, მინამ რუსული ენის სწავლებას შევუდგებოდეთ, ქართველს ბავშვებს უფრო რთული მოთხრობებიც აქვთ შეთვისებული, ვიდრე მისს წიგნშია, რატომ უთმობს ქართულ მოთხრობებს ადგილს თავისს სახელმძღვანელოში? მაგრამ ბ. ოცხელს, ალბად, სხვა-რიგ აქვს წარმოდგენილი ჩვენი სკოლები. მას ჰგონია, რომ ჩვენ უცხო ენის სწავლებას პირველ დღესვე ვიწყებთ და ამიტომ გვირჩევს—ჯერ ქართულად მოთავსებული მოთხრობები გავიაროთ და რუსული სიტყვები ვასწავლოთ. მე, როგორც დაახლოებული პირი სახალხო სკოლასთან, ვაცხადებ ყველას გასაგონად—ქართულ სკოლებში რუსულს იწყებენ ოცდა ქვეითა ჯარის შესაშინავ რიცხვთან. დანარჩენ ფრონტებზე ბრძოლა არ მომხდარა.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. ოფიც. მთავარსარდლის შტაბისაგან. რიგის რაიონსა და ფრიდრიხშტატთან ცვლილება არ მომხდარა. მდ. ლაუესა და იაკობშტატს შუა ბრძოლა წინანდებური თავგანწირვით გრძელდება. გერმანელები ჩვენს შტიკით ბრძოლას ვერ უძლებენ. მტერს მთელი რიგი იერიშებისა მოაქვს ჩვენზე იმ მიზნით, რომ შეგვავიწროვოს მდ. დვინის მარჯვენა ნაპირზე. დვინის გეზით აბელთან გაძლიერებული თოფით სროლაა. ვილნოსკენ მიმართულ გზაზედ საერთოდ მდგომარეობა უცვლელია. აქ მტერი ძლიერ მაგრდება. გროდნოს გეზით სამხრეთ აღმოსავლეთით სკიდავასკენ და ნემანის მარცხენა ნაპირის გასწვრივ მდ. როოსის სათავეს რაიონში 26 აგვისტოს ჩვენი ჯარი მედგარი ბრძოლით აჩერებდა მტრის შემოტევას, განსაკუთრებით იმ მიზნით, რომ დიდი ზარალი მიეყენებია მისთვის. ბრძოლა განსაკუთრებულ მწვავე ხასიათს იღებდა სკიდელის რაიონში. შემუშავებულ გეგმის მიხედვით ჩვენი უკან დახევა გრძელდება, და დრო გამოშვებით მტერზე კონტრიერიშები მიგვაქვს. მაგალითად, კოხოვთან (კაჩევო) სკიდელის დასავლეთით გერმანელები კონტრიერიშით გავფანტეთ. ნემანსა და პრიპეტს შუა, ზელვიკი—რუჟანის რაიონში, ჩვენი ჯარი უკან დახევას განაგრძობს. პრიპეტის მარცხენა ნაპირის გასწვრივ მტრის ცხენოსან და ქვეითა ჯარის მიერ მოტანილ სასტიკ იერიშებს ვიგერიებთ. როვნოვსკენ მიმართულ გზაზე სტუბელისა და იკვის პოზიციების წინ ოლიაკაკლევანის რკინის გზის გასწვრივ, სადაც მტერს მრავალ რიცხოვანი ძალით იერიშები მოაქვს, ჩვენი ჯარი მტრის შეტევას აკავებს. ამ რაიონში მტერი იერიშების დროს არტილერიას იშველიებს. სერტზე, ტრებოლის სამხრეთ დასავლეთ რაიონში, 25 აგვისტოს ჩვენი შეტევა, რომელიც თანდათანობით გავაფართოვეთ, წარმატებით დასრულდა ისე, როგორც ეს მოხდა ტარისპოლთან. 25-26 აგვისტოს განმავლობაში ტყვეთ წამოვიყვანეთ 150 აფიცერი და 700 ჯარის კაცი. ხელთ ვიგდეთ 3 ზარბაზანი და 36 ტყვიის მფრქვეველი. 26 აგვისტოს საღამოთი მტერმა საჩქაროთ დაიხია მდ. სტიპესკენ. საერთოდ 21 აგვისტოდან მტერმა დაკარგა მდ. სერეტას მთელს ფრონტზე 383 აფიცერი, 17000 ჯარისკაცი 14 საველე ზარბაზანი, 18 სუბუქი, 36 ტყვიისმტყორცნელი, 15 ყუთი ყუმბარა. საზოგადოთ ჩვენი ჯარი მარჯვეთ და მიზან შეწონილათ მოქმედებს და იმედიც აქვს მომავალი გამარჯვებისა. ჩვენი ერთგული მოკავშირე საფრანგეთის არმია ორი კვირაა, რაც გერმანიის ფრონტს ზარბაზნებს გაძლიერებულათ უშენს.

ათინა. კოსტანტინოპოლიდან იტყობინებიან: რადგანაც სანოვაგეს გაძვირებამ ცხოვრება გაართულა შეიხულისლამმა და პრეფექტმა სამსახურიდან გადადგომაზე თხოვნები შეიტანეს, თუმცა უკანასკნელმა სიკვდილით დასჯის შიშით თხოვნა უკანვე დაიბრუნა, კოსტანტინოპოლში სომხების მასიური დაპატიმრება გძელდება.

ბუქარესტი. 29 აგვისტო. კოსტანტინოპოლიდან ცნობაა, რომ მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე სომეხთა პატრიაქის საერო საქმეში ჩარევა და რჩევა ღარყვესო.

ბუქარესტი. 26 აგვისტო. ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ უნგრეთის მთავრობამ განკარგულება მოახდინა დაკეტონ რუმინეთის საზღვარზე სადგური პრედეალი და არ გაუშვან მგზავრები ავსტრიიდან რუმინეთისაკენ მიმავალნი. რუმინეთის ქვეშევრდომთ, რომელნიც გადმოსული არიან ავსტრო უნგრეთში, არ შეუძლიათ გამგზავრება თვით შვეიცარიის გზითაც. მგზავრებს აკავებენ ბრასოში.

ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

რუსეთი.

რას სწერს გაზეთი „ნოვოე ვრემია“ ქ. მოსკოვის საბჭოს მოთხოვნილების შესახებ?

„გამოსთქვამს რა მოსკოვი მთელ ხალხთან ერთად, სწერს გაზეთი „ნოვოე ვრემია“, თავის ღრმა რწმენასა და ნდობას რუსეთის არმიისადმი, იგი იმავე დროს გამარჯვების თავდებათ რუსეთის მართვა-გამგეობაში მთელი ჩვენი შინაური ცხოვრების პირობების მოწესრიგებას თვლის; სულ ასეთი მოწესრიგება მისი აზრით მხოლოთ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ხალხის ხმა და მისი სურვილი სწორს და უტყუარ გამოძახილს იპოვის, როგორც სახელმწიფო დუმაში ისე მთავრობის მხრით, რომელიც ძლიერია საზოგადოების ნდობით და იმ პირისადმი ნდობითაც, რომელიც საზოგადოების და მთავრობის ერთიმეორესთან დაკავშირებას და გაერთიანებას შესძლებს. (რ. ვ.)

მისაბაძი განკარგულება.

ქ. სევასტოპოლის ციხის უფროსმა კამენდატმა—განკარგულება მოახდინა, რომ ქალაქში სახლის ქირის მომატება არავინ გაბედოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაწნაშავეს სამი ათასი მანეთის ჯარიმის გადახდა მოელის. (რ. ვ).

ლატიშების ახალი გაზეთი.

პირველ სექტემბრიდან ქ. მოსკოვში „სამშობლოდან“ გადმოსულილატიშელი მწერლები ახალ გაზეთ-„სამშობლოს გამოძახილ“-ს აარსებენ. გიზეთის დანიშნულებაა-გამოქცეული ლატიშების გონებრივი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. (რ. ვ).

ქ. სარატოვის საბჭოს ლიბერალობა და გუბერნატორის პროტესტი.

ქ. სარატოვის საბჭომ სურვილი გამოთქვა, რომ ებრაელნი და რუსეთის სხვა ერები, რომლებიც კი ახლა სამშობლოს დაცვაში მონაწილეობას იღებენ უფლებით გათანასწორებულ იქმნან; გუბერნატორმა ამაზე პროტესტი განაცხადა, რის გამოც საგუბერნიო „პრისუტსტვიემ“ საბჭოს დადგენილება გააუქმა. (რ. ვ.)

უცხოეთი.

იტალიის სოციალისტების უანგაროება და პატრიოტობა.

კორესპონდენტი ოსორგინი ქ. რომიდან იწერება: ამ ბოლო დროს გამომჟღავნდა, თუ რამდენათ უსაფუძვლო იყო იტალიის სოციალისტების წინააღმდეგ გავრცელებული ცილის წამება: ვითომ ისინი გერმანიიდან ქრთამებს ღებულობდენ, რომ იტალიის ნეიტრალიტეტის სასარგებლოთ აგიტაცია გაეწიათ. „ეს ამბავიო სწერს კორესპოდენტი, ძალიან გვაგონებს 1904 წელს რუსეთში გავრცელებულ ხმას: ვითომ იაპონელები ქრთამს აძლევდენ რუსის სოციალისტებს და ებრაელებს, რომ რუსეთში არეულობა დაეწყოთ.

ახლა ერთი ფრანგული გაზეთი წერილებს ათავსებსო, განაგრძობს კორესპონდენტი, რომლითაც იტალიის სოციალისტების სრული პატიოსნება და უანგარობა ნათლათ მტკიცდება.

ხედის წიგნში მოთავსებულს მოთხრობებზე უფრო რთულს სასწავლო მასალის ქართულად გავლის შემდეგ და კიდევ რიგიანად ვერ ითვისებენ ყმაწვილები რუსულს სიტყვებს. პირველი დღიდანვე რუსული სწავლების მომხრენი დიდი ხანია დამარცხდენ და მათს გუნდს არც ბ. ოცხელი და არც, მისი წიგნის მაქებარი, ძველი პედაგოგი უნდა ეკუთვნოდენ, რადგანაც ყველამ იცის, რომ უფლებიანმა კრუპკი-გროზდოვ-გასპარიანცმა ვერ შესძლეს სწავლის პირველი დღიდან რუსულის შემოღება სახალხო სკოლებში და მათ რა უნდა გააწყონ?

ლექსიკურს განყოფილებაში საგნების ხმარებაზე სურათებს უპირატესობას აძლევს ბ. ოცხელი და თან თავისს წიგნში პედაგოგიური თანდათანობის— გადასვლას უფრო ადვილიდან უფრო ძნელზე—ღალატობს. ჩვენ კი ვიტყვით: სურათები საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა ნამდვილი საგნების შოვნა ძნელია და თუ პირდაპირ ცოცხალს საგანს ვიშოვნით, იმ შემთხვევაში სურათი თავისს ღირებულებას ჰკარგავს. მწიფე ყურძნის წარმოსადგენად შემოდგომის სურათის ხელში ტრიალს ემჯობინება სექტემბერში ვენახში გადახედვა; ვფიქრობთ-მოწაფე ადვილად, იოლად, სწორაფად და კარგად შეითვისებს ვაზის საიდუმლოებას და, თუ, რაც გვინდა, სრულიად ვერ ვიხილეთ ვენახში, მაშინ სურათს მივმართავთ.

როგორ მოგწონსთ? რომელი უადვილესია გასაგებად, ჯერ სურათის დაწვრილებით გასინჯვა და შემდეგ ვენახში ყურძნის ნახვა, თუ ჯერ ვენახში ნამდვილი ყურძნის გათვალისწინება და შემდეგ სურათის აწერა? პედაგოგიური თანდათანობა მოითხოვს—ჯერ ცოცხალი ყურძენი ნახოთ და შემდეგ მისს აწერას შეუდგეთ. არა—გულახდილათ სთქვას ბ. ოცხელმა—უმალ ფიზიკაში „ახუ ბრებიებს“ თავის მოწაფეებს და მერე გადადის მაგალითებზე, თუ ჯერ ცოცხალს საგნებზე ახდენს მაგალითებს და შემდეგ იშველიებს წიგნს? ჩვენა გვგონია—წინ მაგალითები მიუძღვიან და შემდეგ მოსდევს სურათების და სტრქონების ილიუსტრაცია და ბ. ოცხელიც ამ წესით მაცადინოს, რა თქმა უნდა. გთხოვთ გვიბრძანეთ, ბ. მათემატიკოსო, გეომეტრიული სხეულების გავლის დროს სურათებით ითკისებენ თქვენს სასწავლებელში ორ საზღვრიან ან სამ-საზღვრიან კუთხეებს, თუ სწორა სხეულებს უჩვენებთ ხოლმე? ჩვენ, როცა გვხვდება ამ საგანში მაცადინობა, ამ რიგათ ვუხსნით ბავშვებს.

„ეს ოთახი არის რომელიმე გეომეტრიული სხეული, შეხვდენ ერთი მეორეს აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის კედლები ამ ხაზზე (ვუჩვენებთ ხაზს), აქ მათ გააკეთეს კუთხე და ამ კუთხეს, რადგანაც ორი საზღვარი აქვს, ესა და ეს კედელი (ვუჩვენებთ კედელს), ორ საზღვრიანი ეწოდება. იმ კუთხეს—კი, სადაც ორი კედელი და იატაკი ერთმანეთს ხვდება, ჰქვიან სამ-საზღვრიანი, რადგანაც სამი საზღვარი აქვს“. ამ წესით სწავლება ძალიან აადვილებს საქმეს და მას, ჩვენი შეხედულებით, ვერავითარი სურათი ვერ შესცვლის.

ერთი საბუთი პედაგოგიური თანდათანობის აღმოჩნდა "Новое Слово"-ში. ეხლა ინებეთ სხვა საბუთები. აი-რამოდენიმე მათგანი: თანახმად ახალ წიგნში გამოქვეყნებული ახალი მეთოდისა ჯერ ისწავლება ბავშვების სახელები, მერე სასწავლო ნივთები; ჯერ ხდება ნათესავების სახელების შეთვისება, მერე სხეულის ნაწილების; ჯერ დკანები და ჭურჭელია, მერე საქმელი; ჯერ გარეულის ცხოველებს ეცნობით, მერე ტანისამოსს; ჯერ ითვალისწინებთ თევზებსა და მეთევზეს, შემდეგ დანასა და ნაჯახს; ჯერ სოკოებს ნახულობთ, მერე მსხალს. დაილოცოს ამისთანა თანდათანობა. თურმე, მსხლის სახელს სანამ ასწავლიდე, კარტა და ვეფხვი უნდა ასწავლო!!! კმარა თანდათანობაზე, გადვიდეთ ანბანზე. [მთელი ალფავიტი ისეა გათავებული, რომ თითო ასოს შესათვისებლად ერთი სტრიქონის მეტი არ არის წასაკითხავი, გასაკვირვალია, თუ მართლა არის სადმე იმისთანა მასწავლებელი, რომ სამი-ოთხი სიტყვით ბავშვს დაასწავლოს რომელიმე ასო. საკითხავი განყოფილების შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია; იგი ვერავითარს კრიტიკას ვერ უძლებს. ხშირად სიტყვებიც ისეა ნათარგმნი, რომ მე მრცხვენია, ბ. ოცხელის მაგიერ, მათი გამოქვეყნება, მაგ. „птичка поетъ-ჩიტი მღერის“. მომღერალი ჩიტები ჩვენში არ არის და შეიძლება „მრავალ ჟამიერს“ ქუთათური ჩიტები იმღეროდენ; ჩვენს სოფლებში პროვინციალური ჩიტები იკის და ისინი გალობენ. ერთს ადგილას წერია „Быкъ идетъ въ поле пахать землю“. ჩვენ არ ვიცით და კარგს

ამას გარდა ის ფაქტი, რომ რეფორმატ სოციალისტ ბისოლატის შემდეგ სხვა სოციალისტებიც: რაიმონდე და კანეპაც იტალიის მომქმედ ჯარში წავიდენ აფიცრებათ და სამშობლოს სასახელოთ იბრძვიან, ნებას არავინ აძლევს ეჭვი შეიტანოს იტალიის სოციალისტების ნამდვილ ჭეშმარიტათ გაგებულ პატრიოტობეში. ისინი დღეს ყველაფრით ხელს უწყობენ, რომ სახელმწიფოში უკვე დამკვიდრებული ერთობა არ დაირღვეს და ამით იტალიის ხალხს მტერთან გამკლავება არ გაუძნელდეს (რ. ვ.)

ინგლისში სამხედრო ბეგარის შემოღებას მოითხოვენ.

კორესპონდენტი ვოლგინი იუწყება, რომ აგვისტოს პირველი რიცხვებიდან ინგლისში მცხოვრებთა საერთო აღწერას შეუდგენ.

ამ ფაქტს, კორესპონდენტის სიტყვით, მილიტარისტების ანუ, როგორც ინგლისში ეძახიან „კონსკრიპსციონისტების“ პროპაგანდა-აგიტაციასთან აქვს კავშირი.

„ნაციონალურ სამსახურის“ პრინციპს ლორდ მილნერის შემდეგ დამცველად ლორდ ნორსკლიფერიც გამოუჩდა. ეს უკანასკნელი ინგლისის გაზეთების მაგნატათ ითვლება.

მრავალ გაზეთთა შორის მისი მთავარი გაზეთია „ტაიმსი“, რომელიც გერმანელების მიერ ვარშავის დაკავების შემდეგ ინგლისში სამხედრო ბეგარის შემოღების მომხრე გახდა ამ საგანზე ხშირათ სწერს.

ინგლისელ მილიტარისტების ჯგუფმა 3 აგვისტოს მოწოდება გამოსცა, რომლითაც მოითხოვდა, რომ მთელ ინგლისში ყველგან სახალხო მიტინგები გამართულიყო სამხედრო ბეგარის შემოღების აზრის ხალხში საქადაგებლათ და გასავრცელებლათ.

მოწოდებით სწერენ, ჩვენ დავრწმუნდით რომ დადგა დრო, როცა მთელი ერის ყველა ძალების შემოკრებაა საჭირო... ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყველგან სახალხო მიტინგები გაიმართოს და ხალხს აუხსნან, თუ რამდენათ საჭიროა დღეს ქვეყნისთვის სამხედრო ბეგარის შემოღება

. . . . .

ამ მოწოდებაზე ხელი უწერიათ ბევრ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს და სხვათა შორის გაზეთების მაგნატს, ნორსკლიფსსაც. როგორც ამბობენ კაბინეტის წევრებშიაც არის ამ აზრის მომხრეები, ასე რომ კონსერვატიული ნაწილი მალე თავის გამარჯვებას იდღესასწაულებს. მთავრობას სფერაში ამ აზრის მომხრეთა მოთავეთ ლორდ მილნერი ითვლება, ხოლო კონსერვატიულ პრესაში ლორდ ნორსკლიფი. კამპანია ყოველ მხრით გაჩაღებულია. (რ. ვ.)

ქ. ქუთაისი, 25 აგვისტო.

იყო დრო, როცა კავკასიაში მედგრად ჰქუხდა **საქართველოს** სახელი და კავკასიის ერთა შორის ქართველებს პირველი ადგილი ეჭირათ.

ისე არავინ ახსენებდა კავკასიას, რომ ქართველებიც არ მოეხსენებინათ, ისე ვარავინ შეეხებოდა კავკასიას, რომ საქართველოსათვის ანგარიში არ გაეწიათ.

მაგრამ გავიდა დრო... უთანასწორო ბრძოლა-ომებისაგან დასუსტებულმა საქართველომ თავი დიად რუსეთის მფარველობას შეაფარა და დაღალულ-დაქანცული მიეცა მოსვენებას, მიეცა კულტურულ აღორძინებას...

და ეს ას თოთხმეტ—ას ხუთმეტი წელიწადია, რაც საქართველო განიცდის ევროპისა და რუსეთის კულტურის ზეგავლენას, ას თოთხმეტი წელიწადია, რაც საქართველო უკვირდება თავის წარსულსა, თუ აწმყოს და იმედებით შესცქერის მომავალს... ბევრი შავი დღე უნახავს საქართველოს, მაგრამ რუსეთის მფარველობის ქვეშ იგი ყოველთვის მოეღოდა და მოელის ბედნიერ დღეებს, —მით უმეტეს, რომ ქართველი მშრომელი ხალხი— ბატონ-ყმობის გადავარღნის შემდეგ—დაადგა განვითარებისა და თვით შეგნების გზას...

განვითარების გზას ადგიან აგრეთვე კავკასიის სხვა ერებიც და რადგანაც საქართველო არც თავის თვითარსებობის დროს და არც შემდეგ არ ყოფილა სხვა ერთა მოძულე და მდევნელი—სიხარულით ეგებება თავისს მეზობელ ერთა აღორძინებას.

სიდიადრობა და კეთილი მეზობლობა ერთა შორის—აი, რა იყო და რა არის საქართველოს გულის თქმა, ქართველი ხალხის რწმენა! ამის გარეშე არც სხვა ერებს დაეყრებათ ხეირი და ამიტომ ბედი მთელის კავკასიისა, ბედია საქართველოისაც, სიკეთე მთელის კავკასიისა სიკეთეა ქართველებისაც...

სიცოცხლე და დღეგრძელობა ყველა ერს!—აი ჩვენი ლოცვაც. ამ ლოცვით ვაღამებთ დღეს და ამ ლოცვითვე ვათენებთ ღამეს.

მაგრამ არიან ხოლმე ისეთი პოლიტიკური და ეკონომიური მომენტები, როდესაც ალდა თავის დაცვის უკარნახებს ხოლმე ამა თუ იმ ერს, ანგარიში გაუწიოს ამა თუ იმ თავისს მეზობელს და თავისი პირადი, ისტორიული ღირსება დაიცვას,-არა იმიტომ, რომ სხვა დაჩაგროს, არამედ იმიტომ, რომ სხვას არ დაეჩაგვრინოს.

ამ მხრივ დიდათ დასამცირებელი იყო საქართველოსათვის, როცა მისი სახელი ამოშალეს გეოგრაფიის ნომენ-კლატურიდან და მხოლოდ „ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებათ“ გადანათლეს; ჩვენი დამცირება იყო, როცა ნებას არ გვაძლევდენ გვეხსენებინა ჟურნალ-გაზეთებში სიტყვა „საქართველო“. (მაგ. ცენზორ ისარლოვის დროს); ჩვენი უფლებების აბუჩათ აგდება იყო, როცა ესა თუ ის მმართველი კავკასიისა-ამა თუ იმ ერის „პოლიტიკას“ აწარმოებდა ხოლმე და დავიწყებას აძლევდა იმ ამაგს, რომელიც საქართველომა და ქართველმა ხალხმა რუსეთს გაუწიეს...

ჩვენ არ გამოუდგებით დაწვრილებითი აღწერას კავკასიის ძველი მმართველების პოლიტიკისას. ეს მეისტორიეს საქმეა, ვიტყვით მხოლოდ, რომ დიდის მთავრის ნიკოლაზ ნიკოლაზის ძის დანიშვნით მეფის მოადგილეთ, კავკასიის ერთა ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა.

ვისურვოთ, რომ ეს ხანა ყოფილიყოს თავმდები იმ გამარჯვებისა, იმ სამართლიანობისა და იმ იმედებისა, რომელსაც მთელ რუსეთთან ერთად გულით ატარებენ, საზოგადოთ, კავკასია და, კერძოთ, საქართველო.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

დღესასწაულების გამო ჩვენი გაზეთის მორიგი ნუმერი სამშაბათს, 1 ეკენისთვეს გამოვა.

✦ ახლო მომავალში მოხდება ქალაქის გამგეობის მეორე წევრის არჩევა, ნაცვლად ყოფილი წევრის სიმ. ა. ქვარიანისა.

✦ სახელმწიფო ხაზინამ ქუთაისის გუბერნიის საამშენებლო განყოფილების განკარგულებაში სოფ. დერჩის (ლეჩხუმის მაზრა) ხიდის გასაკეთებლათა და სხვა საჭიროებისათვის 31,800 მ. გადასდვა.

✦ სამხედრო საკრებულოს მიერ დღემდის მიღებულია სამხედრო ბეგარის მოსახდელათ წითელ ბილეთიანები 1,700 კაცი, რომელნიც რუსეთის სხვა და სხვა ქალაქში უკვე გაგზავნეს.

✦ კომერციულ ცოდნათა გამავრცელებელ საზოგადოების თავმჯდომარე რ. ყ. ძე დათეშიძე ქუთაისის კომერციული სასწავლებლის საქმეების გამო თბილისში იმყოფება. ამ დღეებში საურთიერთო ნდობის ბანკის დარბაზში მოხდება კომიტეტის კრება.

✦ იმერეთის საეპარქიო კანცელარია, ქუთაისის სასულიერო სემინარიის საჭიროებისათვის, სთხოვს ქალაქის გამგეობას გაუგზავნოს მას ასლი ქალაქის მოურავის მოხსენებისა სამლვდელოების მამულის „ხარაზოვის ბაღის“ ქალაქის მამულზე გაცვლის შესახებ.

✦ ქალაქის სანიტარული ექიმი ვ. წერეთელი თავის მოვალეობას თავს ანებებს, ამისთვის ქალაქის გამგეობას სთხოვს ამ ადგილზე სხვა ექიმი დანიშნოს.

✦ კვირას, 30 აგვისტოს, ქალაქის თეატრში მსახიობი დათიკო ჩარკვიანი მართავს ლიტერატურულ-დრამატიულ საღამოს. მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები. მთელი შემოსავალი მოხმარდება ავათმყოფ თამარა-ივანიძე-ჩარკვიანს- იმედია, ქუთაისის საზოგადოება თავისი დასწრებით დახმარებას აღმოუჩენს ავათმყოფს ბავშს.

✦ ამ ჟამათ სოფელში წასული არიან ქუთაისის გუბერნიის სამეწათმზომელო სამართველოს მეწისმზომლები მამულების დასაკორღნავათ. სამწუხაროთ დღეს დღეობით მამულების შემოკორღვნა სოფლებში მოუხერხებელი ხდება, რადგანაც უმეტესი ნაწილი მუშა ხალხი და მამულების პატრონებიც ომში არიან გაწვეულნი. ამ შემთხვევით მამულების ბევრი მესამზღვრე ბოროტ განზრახვით ისარგებლეს. კარგი იქნება, რომ მიწის მზომლები ერთი წლით ან ომის გათავებამდის შეაჩერებდენ მიწების დაკორღვნას.

✦ კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსის განკარგულებით, ხელახლათ ნება დართულია 1 ოკტომბრამდი კერძო პირებმა კავკასიის საზღვრებიდან გაიტანონ საქონლის საკვები ქერი და შვრია.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესია საქმეების გასარჩევათ სხვადასხვა პროვინციებში გაემგზავრა. ქუთ. საოლქო სასამართლოში ნორმალური სხდომები პირველი სეკტემბრიდან დაიწყება.

✦ სამხედრო გადასახადთა საკრებულოს წევრათ აირჩიეს იოსებ გრიგოლის ძე კემულარია. ბ. გუბერნატორმა ეს უკვე აცნობა სახაზინო პალატას და უკანასკნელმა კი ქალაქის გამგეობას,

✦ ქალაქის გამგეობამ ცნობები მიიღო, რომ ქალაქთა კავშირს დაევალა მზრუნველობა გაუწიოს ომში დასახიჩრებულ ჯარის კაცებს.

✦ საშუალო სასწავლებლების უფროსებს კავკასიის სამოსწავლო ოლქისაგან ცნობა მოუვიდათ, რომ ნება ეძლევათ გარეშე მოწაფეებს ეგზამენები ჩააბარონ სიმწიფის მოწმობების მისაღებათ. აგრეთვე მიღებული იქნენ განურჩევლათ წოდებისა ის მოწაფეები, რომელნიც ომის გამო [illegible]

✦ 27 აგვისტოს, ქუთაისის გუბერნიის სათავად-აზნაურთ [illegible] ლომ მოსკოვის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს აპოლონ გაბუნიას დაუნიშნა სტიპენდია თვიურათ 25 მანეთი უმაღლესი სწავლის დასრულებამდე.

✦ ამ მოკლე დროში გამოვა ალმანახი ასეთი სათაურით: „1915 წელი“. მასალები მიიღება შემდეგი მისამართით: ქუთაისს—დათიკო ნ. ღოღობერიძეს. სტამბა „ძმობაში“.

✦ 30 აგვისტოს ს. ნაგარევში გაიმართება იაფ-ფასიანი წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „ბატონი და ყმა“ შ. დადიანისა და ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „უბედური დღე„.

✦ გუშინ, 28 აგვისტოს, ქუთაისის ბაზარზე სოფლებიდან სანოვაგე საკმაოდ შემოვიდა. ფუთი სიმინდი ფასობდა 6 აბაზათ, ფქვილი 1 მ. და 6 შაურათ, პურის ფქვილი 2 მან., ხახვი 7 აბაზი, კარტოფილი 6 აბაზი.

✦ ჯარის კაცი ვასილ ფარსადანის ძე კრავიშვილი, რომელიც მსახურობდა კავკასიის მეორე კორპუსში მე-201 ფოთის, ქვეით პოლკის მე-14 „როტაში“ 1914 წლის ცამეტ ეკენისთვის შემდეგ მის შესახებ არავითარი ცნობა არ არის. ჰირისუფლები სთხოვენ იმათ ვინც მისი ვინაობა იცის, აცნობოს მათ შემდეგი მისამართით:

ქუთაისი. ქუთაისის მეორე უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელში მეოთხე კლასის მოწაფეს ბაგრატ კრავიშვილს.

პროვინციის ცხოვრება.

(დგილ. ჟურნ. გაზეთ.

დ. ხობი. დ. ხობი კულტურული დაწესებულებებით სხვა დაბებზე მაღლა სდგას. აქ არსებობს: ქსენონი ფოსტა ტელეგრაფის კანტორა, უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო, წვრილი კრედიტის ამხანაგობა, ორ კლასიანი ნორმალური სასწავლებელი. განზრახვა აქვთ დაარსონ უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი და კოოპერატიული დუქანი. სამკითხველოს ამ ჟამათ ცოტა ჟურნალ გაზეთები მოსდის. მკითხველთა რიცხვი ჯერ-ჯერობით მცირეა, მიუხედავათ იმისა, რომ სამკითხველო უკვე ერთი წელიწადია, რაც არსებობს.

სოფ. ჩალხაეთი. მდებარეობა ამ სოფელ მთაგორიანი აქვს. დაშორებულია ყველა დაბა-ქალაქებს და ამიტომაც ასეთს უკულტურო სოფელს მეორეს ვერ შეხვდება კაცი. აქაურებთათვის თეატრი, წიგნთსაცავ-სამკითხველო და სხვა პირველი გამოგონებაა. ჟურნალ-გაზეთებზე ხომ წარმოდგენაც არა აქვთ. მცხოვრებლების უმთავრეს წყაროს ხეტყის მასალის დამზადება შეადგენს. ასეთ ჩამორჩენილ სოფელს, რომ ვინმე გულშემატკივარი გამოუჩნდებოდეს და გლეხებში სწავლა განათლებას შეიტანდეს დიდ სამსახურს გაუწევს ჩამორჩენილ ხალხს.

აჯარლეგის დახმარება.

(წერილი ლეჩხუმიდან.)

(დასასრული იხილეთ „სამშობლო“ №163)

ფარდის ახდისათანავე თ-მა ლევ. დადეშკელიანმა გრძნობიერის სიტყვით მიმართა საზოგადოებას და აუწყა ჩვენი გამოჩენილი მოის პოეტის, ვაჟა ფშაველას გარდაცვალება, რასაც საზოგადოებამ მწუხარებითა და ფეხზე ადგომით შეხვდა. მომღერალთა გუნდმა სამ გზის იგალობა „საუკუნო ხსენება“, ასე დასრულდა ეს სანაქებო საღამო.

დასასრულ არ შემიძლია არ გავკიცხო საქციელი ლეჩხუმის მომრიგებელ მოსამართლის, ბ. ნ. ხარაძირა საღამოს გასამართავ შენობის უქონლობისა გამო, საღამოს მომწყობ კომისიას ბ. ხარაძისთვის უთხოვია სასამართლოს შენობა. „მსაჯულს“ უარი უთქვამს შენობის დათმობაზე, მაგრამ ბოლოს დაუთანხმებიათ, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისთვის. ბ. ფეოდოროვისთვის დეპეშა მაინც მიეცათ და ნებართვა გამოეთხოვათ. ბ. ფეოდოროვმა დიდის სიამოვნებით დართო ნება და აბა ბ. ხარაძე რას იზამდა, რომ შენობა არ დაეთმო, მაგრამ, როგორც გადმომცეს, ყოველ მხრივ შეავიწროვა საღამოს მომწყობნი: არ თხოვა არცა სკამები, არც სამოვარი და ჩაინიკი, არც სამზარეულო, სადაც დამსწრეთათვის ვახშამი უნდა გაკეთებულიყო და ფარდის ახდის ნახევარი საათის წინ მარტო მისცა ნება, რომ კამერას წინ აღმართული რეშოტკა მოეხსნათ, რამაც ძალზე დააბრკოლა სცენის მოწყობა და საერთოდ საღამოს გამართვა. ნუ თუ არ ესმის ბ. ხარაძეს, ამითი მან რა ჩაიდინა? ნუ თუ არ იცის ბ. ხარაძემ, რომ მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია. ნუ თუ არ იცოდა ბ. ხარაძემ რომ მისი ასეთი უკულტურო საქციელით მის გაჰივრებულ ძმებს ლუკმას უკარგავდა და ის მაინც რათ ვერ წარმოიდგინა „მსაჯულმა“, რომ ლეჩხუმის მომრიგებელი მსაჯულის სასამართლოს შენობა დ. ლაილაში სავსების ლაილაშლების ნაღვაწ ნადაგი გროშებით არის აშენებული და თუ იურიდიული არა, ზნეობრივი უფლება მაინცა აქვს საზოგადოებას, რომ ასეთი სიმპატიური საღამოები მაინც მართოს თავის აგებულ შენობაში? ნუ თუ ჰგონია ბ. ხარაძეს, რომ ასეთი მიღრეკილ-მოღრეკილის გზით შორს წავა?

უჩინარი დამსწრე

თეატრი და ხელოვნება.

დ. საჩხერე. სათეატრო შენობის უქონლობის გამო, ეს დება მოკლებულია ხშირს წარმოდგენებს. მთელი წლის განმავლობაში აქ შეიძლება ოთხი-ხუთი წარმოდგენაც არ გაიმართოს, ამ სამი თვის განმავლობაში აქ ორი წარმოდგენა გამართეს. პირველი „აშენდა საქართველო“ ჭიათურის სცენის მოყვარეებმა ვ. არაბიძის მონაწილეობით ივლისში მეორე; „სიძე სიმამრი“ ბ. აბდუშელისა 6 აგვისტოს. პირველ საღამოს ვერ დავესწარი და იმისას ვერას ვიტყვი; მეორე საღამო ბ. აბდუშელმა გამართა ჯერ დაუსრულებელ ქალთა პროგიმნაზიის შენობაში. მშვიდობიანობის დროს ფერისცვალებას (6 აგვ.) საჩხერე სავსეა ხოლმე ხალხით. წელს არ გვეგონა თუ აქ კიდევ შეიკრიბებოდა ხალხი, მაგრამ, წინანდებურათ, თუმცა არა, მაინც ბლომათ მოგროვდა. საღამოთი ყველა მზათ იყო დასწრებოდა წარმოდგენას, მაგრამ, შენობის სივიწროვის გამო, ბევრი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

დარბაზი გაჭედილი იყო ღვინით გამხიარულებული ხალხით. ყურს აყრუებდა დაუსრულებელი ხმაურობა და ხშირი ჩხუბი.

მოხდენილათ ჩაატარა თავისი როლი ქ-ნმა ა. აბრამიშვილმა (კატო) ეტყობა ეს ახალგაზდა სცენის მოყვარე ქალი სერიოზულათ ეპყრობა სცენას და ნიჭიც ხელს უწყობს. ვუსურვებ მას, რომ ამ დაბის ღარიბ სცენაზე ფართოდ გაეშალოს თავისი ნიჭი.

არა უშავდა რა ქ-ნ წერეთელს (ქეთო)

ბ-ნ ლოლაძე (ღენერალი) გამოცდილი სცენის მოყვარეა და ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. ამ საღამოსაც ჩინებულათ შეასრულა თავისი როლი.

ბ. ვანელს (სიძე) არ ვიცი როლი არ ჰქონდა ნასწავლი, თუ ხმაურობა უშლიდა ხელს; სუფლიორი ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა, მაგრამ ხშირათ ბ. ვანელს არ ესმოდა სუფლიორის სიტყვები, თუმცა უნდა ითქვას, რომ ყოველთვის მოხდენილათ ისწორებდა შეცთომებს. არ შემიძლია არ ვუსაყვედურო ახალ გაზდა მსახიობს აბდუშელს. ჯერ ერთი ის, რომ წესრიგის დასაცავათ საჭირო იყო ადგილის მიხედვით ბილეთის გაყიდვა.

მეორე კიდევ, ბ-ნო აბდუშელო, იმ საღამოს მსენელების მეტ ნაწილს ვინ შეადგენდა? ალბათ გეგონათ, ОВЪ,—СКІЙ-ები ჩამოსულან მოსკოვ-პეტროგრადიდან ჩემი თამაშის საყურებლათო, თორემ არ მესმის, რათ დაგჭირდათ რუსული ფრაზები თქვენი გულის წყრომის გამოსახატად და ისიც მაშინ, როდესაც თამაშობთ ჯერ ქართულ სცენაზე და მერე ისიც საჩხერეში.

ღმერთმა უშველოს იმ „სტრაჟნიკს“, რომელმაც მშობელ ენაზე გვამცნო თქვენის გულის წყრომა, თორემ თქვენი „спектакль не кабакъ“ და სხვა ჩვენთვის ისე გაუგებარი იყო, როგორც ჩინური ანბანი.

ბ-ნი აბდუშელი ძალიან კარგი იყო ექ. საყვარელიძის როლში.

დასასრულ გაიმართა კონცერტიული განყოფილება მაგრამ, სამწუხაროთ, კარგი შთაბეჭდილება ვერ დასტოვა მსმენელებზე. და თუ კიდევ ასეთი კონცერტი განმეორდა, შესაძლებელია ხალხმა დარბაზი დასტოვოს.

საერთოდ, უნდა ვსთქვათ, რომ ჭიათურის ზოგიერთ სცენის მოყვარე ძალიან ეტანება სიმღერას. სადაც კი იშოვიან პიესაში თავისუფალ ადგილს მოჰყვებიან და... იმას კი ალარ დაგიძვენენ ამა თუ იმ პიესას ეს თუ ის სიმღერა, ისიც ასი გაჭიანურებული შეფერება თუ არა?

ნიკო ხუციშვილი

ჩემი პასუხი.

ბ-ნ ხოლელ მასწავლებელს

22 აგვისტოს გაზ „სამშობლოს“ საშუალებით შეკითხებით მართალია თუ არა თქვენამდე მოსული ხმები, რომ მე „30 ვერსის აქეთ იქით გაკვალაში საწყალ გლეხებს 150 მანეთი გადავახდევინე“ და „კომისიამ (ჩემს თავმჯდომარეობით) უკუდმა გაანაწილა ფულები და ბევრს ისეთს მისცა, ვისაც არ ერგებოდა, ხოლო ნამდვილი გაჭირვებული კი ხელცარიელი დარჩაო“.

ტუუილია, ბ-ნო მასწავლებელო, ეგ ბრალდებანი და აი რისთვის:

სულ დარიგდა 2720 მ., ესე იგი $2641^1/_2$ ფუთი სიმინდის საფასური. (1 მ. 3 კ. ფუთი). ფუთზე დაკლდათ ხარჯების დასაფარავათ შური სულ (5 კ. × $2641^1/_2$)-132 მ. 8 კაპ. ჩემს ხარჯებს გარდა, კომისიის წევრებისა, მწერალ მამასახლისისა და ფულის დასარიგებლათ საჭირო ბლანკებ-წიგნებზე გასავალი იყო.

მიხა ქობალიას 5 მ. ილარიონ რუხაძეს 5 მ. ბიჭიკო ჭალადანიას 5 მ. სპ. ჯაჯაიას 5 მ. ილ. ბარბაძეს 7 მ. მამასახლის 12 მ. 50 კ. მწერალს 3 მ. 50 კ. ფერაძის სტამბას 5 მ. 50 კაპ. მამასახლ. თანაშემწეებს 4 მ.

სულ 52 მან. 50 კაპ.

132 მ. 8 კ. რომ 52 მ. 50 კაპ. გამოვაკლოთ, მოგეხსენებათ, დარჩება 56 მ. 58 კ. და არა 150 მანეთი. მაგრამ კიდევ ვნახოთ უველა ეს 69 მან. 58 კ. „30 ვერსის აქეთ იქით გაკვალაში, მე დავიტოვე თუ არა

თქვენ გეოდნიათ, ბატონო, ხოლელო მასწავლებელო, რომ ფულის გამომტანლად ხაზინიდან სოზგადოებას მე აურჩევივარ, მაგრამ ის კი დაგვიწუებიათ თუ რამდენი დავიდარაბა სჭირია კანცელარიებში საქმის გამოწყობას. მთელი რვა დღე ვიუურეუტე ქუთაისში და დიდი ხარჯებიც მოვიგოდა: (ეტლები, სასტუმროში ბინა, სახლში კი ჩემს მოწაფეებთან დატოვებულ მასწავლებელს მანეთს ვაძლევდი საათში)... მარტო მერვე დღის, ხარჯები როცა საქმე დაბოლოვდა, ოც მანეთს აღემატება. (ქუთათურმა მეეტლემ წაიღო 5 მ., ხოლოდ 4 მ., მათხოჯელმა (ბანკირების მონახვამდე გაჩერებული მეავდა) 3 მან. 50 კ., ქუთათურ ჩაფრებს უკან დასაბრუნებელი 2 მ. (თუმცა უარზე ვიუავ, მაგრამ ქუთაისიდან ჩაფრები გამომატანეს, ფული არავინ წაგართვა.) ხოლელს 1 მ. მათი ხარჯი 3 მ. 80 კ. და სხვა.

როგორც ზევით დავინახეთ ფუთზე ხარჯათ გადაწყვეტილი იყო ერთი შაური და ზემოთ ნახვენებ საერთო ხარჯების გარდა უნდა დარჩენილიუო 69 მ. 58 კ. მაგრამ არც ეს დარჩენილა, იმისთვის, რომ ხშირათ შემხვდა ისეთი დატაკი, რომელსაც „გამოსაბრუნებელი“ კაბიკები არ ჭქონდა ხურდათ და შევაწეე, გარდა ამისა ერთხანს 10 მ. 21 კ. ნატვლათ ზოგს შეტდომათ ვაძლიეთ 10 მ. 35 კ., და ამგვარათ დარჩა სულ 40 მ. აქედანაც ერთს იქვე ულარიბებს, მივეცი 4 მ. და...

როგორც ხედავთ მთელი რვა დღით ქუთაისში ეოფნისთვის, ჩაფრებისა და ეტლების საფასურათ, სასტუმროების გასასტუმრებლათ და სხვა და სხვა (და არა მარტო 30 ვერსის აქეთ იქით გაკვალაში) დამრჩა, ესე იგი, მე ავიღე (და ისიც სოზგადოების თხოვნით) მე 36 მანეთამდე და არა 150 მანეთი. და განა ეს ჩემთვის არამიუნდა იყოს უველა ზემორე აღნიშნულ შრომის შემდეგ?

რჩება მეორე ბრალდება. სახელდობრ ისა, რომ „კომისიამ უწესოთ გაანაწილა ფული“... არც ეს არის მართალი. აქ კომისიას არავითარი ბრალი არ ედება. და აი რისთვის! როცა ფული მოვიტანეს, მაზრის უმფროსმა დამტკიცებული სიაც გადმოგვცა, რომელშიაც აღნიშნული იყო 184 მოსახლე. და ვის რამდენი უნდა მისცემოდა. იმ წამსვე ვკითხე მაზრის უმფროსს. თუ სიაში კეთილ სინიდისიერობა ვერ დავინახე შეგვეძლება მე, ან კომისიას შესცვალოს სია და დაარიგოს ისე, როგორც სამართლიანობა მოითხოვს მეთქი? „ეგ შეუძლებელია, მიპასუხა, ეგ სია „კოპია“ იმ სიისა რომელიც „საგლეხო კომიტეტშია“ და რომელმაც დამტკიცა ეგ სია, რისთვისაც გაძლევენ 2720 მ; 79 კ. და არც მეტსა და არც ნაკლებსაო!..

ცხადია, კომისიას გარდა ბრმათ დარიგებისა არავერი შეეძლო... გვინდა და შინაურულათ დაგვეთანხმებია ის ორიოდე „მდიდარი“, რომელიც შიგ კამერია, დაეთმო თავისი წილი იმ ორიოდე ქვრივ ობლებისთვის, რომელიც სიაში არ აღმოჩნდა, მაგრამ ეგ შეუძლებელი გახდა... ერთი იმისთვის, რომ ვერ გავიგეთ ვინ იყო მდიდარი და ვინ ღარიბი... ზოგი ერთს უდგებოდა და ზოგი მეორეს... ორი საათი ტეეილა ვეხვეწე კრებას... მეორე მისთვის-რომ თუ დარიბებს „მდიდრები“ მესათ არ მისცემდენ ჩვენ რა ძალა გვქონდა?

შეგ ეძლო დაგვეკვეებია „მდიდართა თვის“ ფული და უკანვე დაგვებრუნებია, მაგრამ ამას უფრო არ მოიწონებდით, რადგან, მოგეხსენებათ, ნახახულევის საზოგადოებაში, ან და 184 მოსახლეში მაინც ისეთი როტშილდი არავინ ერია, სიმინდი, რომ არ ჭქონოდა საკმარისათ... და ჩვენს დაბრუნებულს ფულს კი მათ-ხოჯელ ღარიბებს არვინ მისცემდა.

მასწავლებელი **ბარამიძე**

ძ. ბ. ...

ბიბლიოთეკა

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი პატივცემულ გაზეთის „სამშობლო“-ს საშუალებით უღრმესი მადლობა შევსწიროთ ქ-ნ ხახალეიშვილს, რომელმაც კეთილ ინება და გამართა ბაღდადში სეირნობა.

სეირნობიდან შემოსულ წმინდა მოგებიდან ნახევარი 65 მან. და 27 კაპ. გადაეცა ბაღდადის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს.

მხურვალე მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ერმილე დვალიშვილი, ანტონ ბუცხრიკიძე, პლატონ ქაშაკაშვილი და სხვ., რომლებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს სეირნობის გამართვაში.

სამკითხველოს გამგეობა.

ბ. რედაქტორო!

ვანის უფასო სამკითხველოს გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს ქ-ნ დარია ახვლედიანისას და ონისიმე არჩილის ძეს ახვლედიანს, რადგანაც პირველი უსასყიდლოდ უგზავნის ხსენებულ სამკითხველოს ქარ. ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“-ს, ხოლო მეორე გაზეთ „სახალხო ფურცელ“-ს.

გამგეობა.

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ უღრმესი მადლობა გადავუხადო თქვენი გაზეთის საშუალებით სოფ. დღნორისის და ლეხიდრის-თავის (ლეჩხუმის მაზრა) მცხოვრებთ, რომლებმაც შემოსწირეს ომში გაგზავნილ ჯარის კაცებისათვის გასაგზავნად თეთრეულებისთვის 17 მანეთი, რომლითაც ნაყიდია შესაკერი თეთრეული. საცვლები ამ მოკლე ხანში შეიკერება და კიდეც გადაეცემა ქ. ქუთაისის ქალთა კომიტეტს.

განსაკუთრებით ანეტა ხოჭოლავას, მარუსა ესაიაშვილს და ანიკო ახვლედიანს, რომელთაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს ფულის მოგროვების საქმეში.

ომში დაჭრილი:

ლადიკო ახვლედიანი და ეგვრეთ ასათიანი.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.

მუშაობს ხრესილის მაღნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

—| ა ბ ა ნ ო. |—

ანანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჭალზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საუმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებს (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სასიგნეს და სხვა. წყალი შიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ეოველივეზე ძალიერ ზომიერია. ანანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია ანანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოობით.

თ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი

ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.